

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში**

<b>საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)</b>	მამუკა ბურდიაშვილი
<b>თანამდებობის დასახელება</b>	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
<b>ფრაქციის დასახელება</b>	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
<b>კომისიის დასახელება:</b>	საფინანსო საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკისა და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
<b>არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)</b>	პროპორციული
<b>საანგარიშო პერიოდი</b>	2022 წლის 31 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრამდე.
<b>ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)</b>	რიგითი

**1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

1.1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 12

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 24  
კომისიის სხდომებზე დასწრება 15

1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -4  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - დავესწარი 4 სხდომიდან ოთხივეს.

**1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:**

სოფ. ლეჩურში გაზიფიცირების პროცესის დაწყებისა და განხორციელების მიზნით, ბიუჯეტში თანხის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული პროექტი დასრულდა გაყვანილ იქნა გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალი და უმოკლეს ვადაში მოხდება გაზის მოსახლეობამდე მიყვანა. ჩემი ინიციატივით სოფ. ლეჩურში დაიწყო ახალი ამბულატორიის მშენებლობა და გამოიყო თანხა ბიუჯეტში აღნიშნული ამბულატორიის მშენებლობა დასრულებულია.  
საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ პროექტში , რომელიც ითვალისწინებს სკოლების მსხვილ მასშტაბიან მშენებლობა - რეაბილიტაციას, ჩემი აქტიური ჩართულობით

შევიდა ლეჩურის დაწყებითი სკოლის მშენებლობაც, ძველის შენობის დემონტაჟის ხარჯზე. სკოლა გათვლილია 31-41 მოსწავლეზე.

### 1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

მხარი დავუჭირე ასევე, ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფას, მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

**მხარი დავუჭირე თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანიცაა ქ. თელავში სატრასპორტო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება და მოდერნიზებული მოსაცდელების განთავსება.**

მხარი დავუჭირე ასევე მუნიციპალიტეტისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ თელავის მინიციპალიტეტის სოფელ გულგულაში 37 144 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემას, სადაც აშენდება სასწავლო ცენტრი მრავალფეროვანი პროფესიული სწავლებისთვის მევენახეობა -მეღვინეობის მიმართულებით. სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარებული მოსახლეობის დახმარების მხარდაჭერა ფშაველი-ლეჩური-ლალისყურში.

### 1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -0

#### 1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:

მოქალაქეებთან შეხვედრები ატარებს რეგულარულ ხასიათს.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ფშაველი - ლეჩური

სარწყავის სისტემის სათავის მოწყობა

გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოები

რეკრეაციული სივრცეების მოწყობა

#### 1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები

### 2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებაზე.

### 3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

ჩემი სამომავლო გეგმაა დაინერგოს ისეთი მოქნილი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ თანამშრომლობას.

შევსების თარიღი: 30.11.2023წ

წარდგენის თარიღი : 31.11.2023წ

ხელმოწერა

